შპს " კლინიკა ნიუველი თბილისის"
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები " 2023 წლის ფინანსური

1. ზოგადი ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ:

სახელმწიფო რეგისტრაცია:

სახელმწიფო რეგისტრაცია

შპს -„კლინიკა ნიუველი თბილისი" -(ყოფილი შპს „ელიზაბეტ ბლექველის ჰოსპიტალი" შემდგომში ყოფილი „თბილისი სითი მედიქალ") სახელმწიფო რეგისტრაცია გავლილი აქვს 2014 წლის 05 მარტს, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი -------405032806--;

საზოგადოების დამფუძნებლები არიან:

თამთა ზურაბაშვილი პ/ნ 01024062915

მზია ღუდუშაური პ/ნ 01001095135

ომარი არზიანი პ/ნ 01027089542

გიორგი კოტრიკაძე პ/ნ 61002002767

იურიდიული მისამართია: თბილისი. ყაზბეგის 34

საზოგადოების დირექტორი არის:

მზია ღუდუშაური პ/ნ 01001095135

ორაგნიზაციის საქმიანობის სახეა: საავადმყოფოების საქმიანობა

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა:

1.1 ფინანსური ანგარიშგების შედგენის და წარდგენის საფუძვლები

შპს "კლინიკა ნიუველი თბილისის" ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის; ასევე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია [illegible]რის ფუნქციონირებადი.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. კომპანიაში ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის მიზნით დანერგილია ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიები, კერძოდ, ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა „ინფობუღალტერი" პროგრამა (ქსელური ვერსია).

1.2 საანგარიშგებო ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ეროვნულ ვალუტაში - ლარში, რომელიც წარმოადგენს საანგარიშგებო ვალუტას;

1.3 საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას განჭვრეტად მომავალში. აღნიშნული პრინციპი განსაზღვრავს არა მხოლოდ საწარმოს განზრახვას გააგრძელოს ფუნქციონირება როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, არამედ მის უნარსაც.

1.4 შემოსავალი

შემოსავალი არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის ზრდა, საანგარიშგებო პერიოდში აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის გადიდებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეთა მიერ საკუთარ კაპიტალში განხორციელებულ დამატებით შენატანებთან;

1.5 ხარჯი

არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის

საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან.

1.6 ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, დაბრუნებების, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

1.6 ძირითადი საშუალებები აღრიცხვა აღიარდება:

შპს "კლინიკა ნიუველი თბილისის" ძირითადი აქტივები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში ასახულია საწყისი (ისტორიული) ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ცვეთის თანხით. საწყისი ღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი ცვეთის მეთოდით. წრფივი მეთოდი გულისხმობს ცვეთის ერთი და იმავე თანხის დარიცხვას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე, თუ არ შეიცვალა აქტივის ნარჩენი ღირებულება. აქტივების ჯგუფს გააჩნია თავისი საექსპლუატაციო ვადა;

1.7 არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამებს, ლიცენზიებს, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

1.8 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტი-ვის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის

საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიუ-რი ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

1.9 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღი-რებულება გაიანგარიშება `პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში~ (`ფიფო~) მეთოდით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები, რომელთა ფასი მცირეა და მათი გამოყენება ხდება დროის უმცირეს მონაკვეთში (სამეურნეო და საკანცელარიო საქონელი) პირდაპირ აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშებში, ხარჯებში.

1.10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

1.11 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

1.12 ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდ-ით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

1.13 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები, წილობრივი ანაზღაურება და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ, ზეგანაკვეთური სმუშაოს შესრულების შემთხვევაში ხდება მათი დაანგარიშება;

1.14 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადი

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის გატანილ მოგებას.

1.15 გადასახადები

ორგანიზაცია ბიუჯეტის წინაშე ანგარიშსწორებას ახორციელებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3 ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2024 წლის 25 სექტემბერს;

შპს "კლინიკა ნიუველი თბილისის"

დირექტორი

2023 წელი
ბალანსი მოგება და ზარალი

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	0	11765	413478
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	0	162794	491252
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები			
მარაგები	24232	24232	12671
მზა პროდუქცია	121203	122206	133242
სხვა	120608	121611	132647
საინვესტიციო ქონება	595	595	595
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	213	213	213
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	1785	1785	1785
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	1068357	1113228	1348356
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	0	0	0
	1215790	1436223	2400997
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	0	0	0
ანარიცხები	1322647	1543455	59617
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	1591539
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	554731	552366	863714
სულ ვალდებულებები	1877378	2095821	2514870
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-661588	-659598	-113873
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	-661588	-659598	-113873
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1215790	1436223	2400997
სულ მოკლევადიანი აქტივები	213	213	213
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	0

ხელმძღვანელი:

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები		
ნეტო ამონაგები	**31/12/2023**	**31/12/2022**
საქონლის გაყიდვიდან	155207	2402438
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	155207	2402438
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	0	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	0	0
სხვა საოპერაციო შემოსავალი	155207	2402438
დასაქმებულთა ანაზღაურება	0	0
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	0	-1589442
საპროცენტო შემოსავალი	0	-193378
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	0	-97103
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	0	0
სულ საოპერაციო ხარჯები	-157197	0
საოპერაციო მოგება	-157197	-1879923
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:	-1990	522515
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	-1068240
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-1990	-545725
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-1990	-545725
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-1990	-545725
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-659598	-113873
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-661588	-659598

ხელმძღვანელი;

ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	**31/12/2023**	**31/12/2022**
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-11765	-401713
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-11765	-401713
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	11765	413478
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	0	11765

ხელმძღვანელი: